ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №186

ქ. თეთრიწყარო 04 სექტემბერი 2012 წელი

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდეგში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს "არქსტუდიო" (შემდგომში "მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფელ მუხათში სპორტული მოედნისა და სოფელ ღოუბანში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვა /71320000-CPV/ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 470(ოთხასსამოცდაათი) ლარს.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

„მიმწოდებელი" ვალდებულია
3.1. ხელშეკრულების დაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა.

„შემსყიდველი" ვალდებულია:
3.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის დასრულების შემდე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 დღის ვადაში.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს გამოვლენილი უზუსტობების აღმოფხვრას და იხდის ჯარიმას, რომელიც შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.2. აღნიშნულ ჯარიმას შემსყიდველი გამოუქვითავს მიმწოდებელს გაწეული მომსახურებისათვის გადასახდელი თანხიდან.
5.3. ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი უხდის მიმწოდებელს გადაუხდელი თანხის 0,5%-ს, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაწყებული ვადაგადაცილების პირველი დღიდან.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
7.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:
– მხარეთა შეთანხმებით;
– ფორს-მაჟორული სიტუაციით;
– ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი-გურამ ბასილია.
10.2 გაწეული მომსახურების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება "მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

11. დავის გადაწყვეტა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2 თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია 2012 წლის 04 სექტემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

13. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

მის: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34,

ს/კოდი: 230869254

ა/ა GE02LB0120116397860000

ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს

თეთრიწყაროს ფილიალი

ბ/კოდი LBRTGE22

"მიმწოდებელი".

შპს „არქსტუდიო"

მის: ქ.თბილისი ალ. ყაზბეგის გამზირი 29/2,№44

ს/კოდი:404922134

ა/ა № GE82TB7733536050100001

ს/ს „თი-ბი-სი ბანკი"

ბ/კოდი TBCBGE22

14. მხარეთა ხელმოწერები

თამარ ფალავანდიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი

მიხეილ წიკლაური

შპს „არქსტუდიო"-ს

დირექტორი